

რედაქცია

მელიქიძის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშვილის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიძის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ.; თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირადღით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციაში (მელიქიძის ქუჩაზე, ჩაიგეშვილის სახლებში) მიიღება ხელის-მოწერა ამ 1876 წლის

„დროებაზე“

ფასი მთელი წლისა — 8 მან. ნახევარი წლისა — 4 მან. და 50 კ. სამის თვისა — 2 მან. და 50 კ. ერთი თვისა — 1 მან. „ „ „

შალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дრობა“.

ახალი ხელის-მოწერა უნდა ამ წლის ნომრებს თავიდანვე მიიღებენ.

ჩვენს აგენტებს შარშანდელი ფულების დროზე გამოგზავნის თხოვნას ეუმეორებთ.

საქართველო

ზორს თუ მუთაისში?

ამბობენ, რომ ძავესის სამასწავლებლო მთავრობას ამ ჟამად სჯა აქესო იმის თაობაზე — თუ სად უნდა გაიხსნას ის მეორე სამასწავლებლო სემინარია, რომლის დაარსებაც ჩვენში ამ ერთი წლის წინათ გადაწყდა. სხვა და სხვა ქალაქები და სოფლები ჰქონიათ მხედველობაში: მანგლისი, ახალქალაქი, ბორი, მუთაისი და, მგონი, აღბუღალიც. მაგრამ ბოლოს კი ბორზე და მუთაისზე გაჩერებულან და ახლა ამ ორ ქა-

ფელტონი

ხმა მონასტრიდან

მასხოვს როგორის სიამოვნებით, გულის-ცემით და აღტაცებული სიხარულით მიეგებებოდა ხოლმე დღესასწაულებს ამ ათი-თორმეტი წლის წინათ. და არა მხოლოდ ათი-თორმეტი წლის წინათ, ეს ჩვეულება თითქმის აქამომდე მაგრათ არის ჩემში გამჯდარი.

ბავშვობის დროს რათ მიხაროდა დღესასწაულების მოახლოვება, — სწორედ მოგახსენოთ — არ ვიცი; მაშინ არაფერი არ მიფიქრია ამხედ და ეხლა კი ვეღარ ჩავდგები იმ მდგომარეობაში.

მაგრამ შემდეგი დროების სიხარულის მიზეზებს კი კარგათ ვიცნობ. პირველი ამათგანი გახლავთ დასვენება: დღესასწაულები ამორებ-

ლაქში ერთსა-და-ერთში უნდა გაიხსნას ეს სასწავლებელი.

იმის წინააღმდეგ, რომ ბორში გაიხსნას ეს სასწავლებელი — ჩვენ ვერაფერს ვერ ვიტყვი. მაგრამ, თუ არჩევანზე მივარდა საქმე, ჩვენის ჰაზრით, ყოველი მხრით უკეთესი იქნება, რომ მუთაისში გაიხსნას და არა ბორს.

შურები გამოკედილი გვაქვს მუდამ ერთი და იმავე ამბების გაგონებით, რომ იმერეთში და საზოგადოთ მუთაისის ლუბერნიაში მოსწავლეთა სურვილს ვერ აკმაყოფილებენ ის სასწავლებელი, რომელნიც ახლა არსებობენ იქაო, რომ ყოველ წელიწადს ასობით აბრუნებენ შინ ყმაწვილებს, რომელთაც სწავლა უნდათ მიიღონ, ყველა სასწავლებლები გასებულთა შაგირდებითა და სხ. და სხე.

მართის სიტყვით, მთელს რუსეთში არსად არ მოიპოვება ისეთი ერცეული, დიდი ლუბერნია, რომელშიაც ასე ცოტა საშუალება იყოს სწავლის მიღებისა, როგორც მუთაისის ლუბერნიაში. იმერეთი, სამეგრელო, შურია, რაჭა, აფხაზეთი, სამურზაყანო — ეს ერთ-დროინდელი მთელი სამეფოები — იძულებულნი არიან ერთის გიმნაზიით, რამდენიმე საუფრო და პირველ-დაწყებითის სკოლებით დაკმაყოფილდნენ.

ამას გარდა მუთაისის ლუბერნიასაც ის საზოგადო სენი აწუხებს, რომელსაც ახლა ყველგან უჩივიან ჩვენში და რომლისაგან განსათავისუფლებულად ეს სემინარია იხსნება,

დნენ ჩვენ საწყალ ტენს უსიცოცხლო და უშინაარსო სახელმძღვანელოების შევიწროებას. დასუსტებული მეხსიერება, დაქანცული გონება და ჯანი ეღირსებოდნენ ხოლმე ამ დროებში მოხევენებას.

მეორე — მუცლის გაძღობა; ხომ მოგახსენებთ როგორის გულ-უხეობით ეგებება ჩვენი ქართველი დღესასწაულებს! მართალია, ჩვენი გაქონილი სტოლები ქართული სუფრა არ იყო; მაგრამ დღესასწაულები ამათაც თავიანთ ფერსა სდებდნენ: თითო ანუ ორ-ოლი კერძი საქმელი ყოველ კვირა-უქმობით გვემატებოდა ხოლმე.

მესამე — თავისუფლად სიარული თფილისის ბაღსა და ქუჩებში. მსყველაზედ სანატრელი იყო ჩემთვის! ძველასთვის ცხადია — თუ როგორ

ე. ი. მასწავლებელთა ნაკლებობა და უვარგისობა.

დამტკიცებულის წესდებით, ამ სემინარიასთან სამი ისეთი ელემენტარული სკოლა უნდა იქნეს გამართული, სადაც ერთში პირველ-დაწყებითი სწავლა ქართულს ენაზე უნდა იყოს, მეორეში სომხურზე და მესამეში თათრულზე. ამ პირობის ასრულება, თფილისის გარდა, ძავესის არტერთსხვა ქალაქში არ შეიძლება, როგორც მუთაისში, რადგან იქ ყველა ამ ნიციებას წარმომადგენელი მოიძებნებოდა.

თფილისის გარდა, ძავესის არტერთს სხვა ქალაქში არ მოიხსნება იმდენი საშუალება ერთის მხრით სწავლის კარგათ წაყვანისათვის და მეორეს მხრით თვითონ სასწავლებლის გამართვისათვის.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ შალაქი ფერმის დათმობას უპირებს ამ სემინარიისათვის, თუ იქ გახსნიან. მუთაისის ფერმა ერთობ მოშორებულია ქალაქზე; ჩვენის ჰაზრით, შაგირდებს იქ დადგომა და ცხოვრება გაუძნელებათ, რადგან ახლო-მახლო არც სახლებია და არც მცხოვრებლები. მაგრამ თუ იქ არა, მუთაისში სხვა სახლიც იპოვება, უფრო მოსათავსებელი, ვიდრე ბორს, ახალქალაქს ან სხვაგან. და თუ მუთაისში ასეთი სურვილი გამოაცხადა სემინარიის თავის ქალაქში დაფუძნებისა, უეჭველია, ფერმა თუ არა, სხვა ადგილსა და სახლსაც იპოვნის თვითონ ქალაქშივე.

როცა ის პირნი, რომელთაც ამ საქმის გადაწყვეტა აქვთ მინდობილი, ყველა ამ მოსაზრებას მიიღებენ მხედველობაში, როცა კარგათ დაფიქრდებიან იმ სარგებლობაზე, რომელიც მთელ მუთაისის ლუბერნიას მიეცემა ამ სასწავლებლის მუთაისში გახსნით, მაშინ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბევრი კოკმანი აღარ დასჭირდებათ; თუ არის რამე წერიმალის დაბრკოლება, ადვილად აიშორებენ თავიდან და იმ გადაწყვეტილებაზე დაადგებიან, რომელსაც მთელი მხარე ასე მოუთმენელად მოეღის.

მუთაისის ლუბერნიის მხრით ეს კანონიერი და საფუძვლიანი სურვილია და ამგვარი სურვილის აღსრულება ყოველთვის და ყველასთვის სანატრელია.

დღიური

ზემოთ დაბეჭდილი სტატია დაწერილი იყო, როცა „თფილისის მოამბეში“ წავეკითხეთ დეკემბრში რომ მუთაისის შალაქის შამგეობამ თავის უკანასკნელს სხდომაზე გადაწყვიტაო, რომ, თუ სამასწავლებლო სემინარიას გახსნიან ჩვენს ქალაქში, მუთაისი, ფერმის მუქთად მიცემის გარდა, კიდევ იკისრებს სემინარიისთვის თავის ხარჯით შენობის აგებას და წელიწადში 500 მანეთს შესწირავსო.

ამის შემდეგ, არა გვეგონია, რომ მუთაისის ბორმა ან სხვა რომელმამე ქალაქმა საფუძვლიანი ქიშპობა გაუწიოს....

* *

განს არა ჰქონდა ნაცნობობა, მხედველობა და კავშირი არაერთარ გონიერ და პრაქტიკულ კაცთან...

ამნაირად ჩვენ ვერჩებოდა მხოლოდ ერთი წიგნები.... და აი ეკითხულობდით, ეკითხულობდით რაც ხელში მოგვხვდებოდა — გაუჩრევილად და უწყსოთ. დღეს რომ ჩვენ ხელში დარჩინი დაგვანახა, ხვალ პუშკინს დინანხავდით, ზეგ — რომელსამე ანატომიურ ანუ ფიზიოლოგიურ თხზულებას, მაზეგ — სპინოზას ფილოსოფიას და სხე.

რა გამოვიდა ყველა აქედამ? — ბევრი რამ, ჩემო ბატონო... თქვენ შეგეძლოთ გეპოვნათ ჩვენში ფილოსოფოსი, რომლისგანაც გაიგონებდით: „არ შემიძლიან წარმოვიდგინო კაცი გარეშე ჩემსა!“. ნახვდით უშინაარსო საცოდავ პედანტსაც, რომ-

მამაკედინებელ გაელენას ახდენს ადამიანის და, მომეტებულად, ახალგაზრდას სხეულზედ ერთს ოთახში, ანუ სასახლეში დამწყვედეა!

თბილისელი პუბლიკა საჩქაროზედ გვიცნობდა ხოლმე თუ ვინ ვერძანდებოდით ჩვენ: ჩვენგან ჩვენი რეკომანდაცია არავისთვის საჭირო არ იყო.. შუბლზედ გვეწერა ვინც ვიყავით. ჩვენი სუფთა ტანთსაცმელი, ჩვენი გამხდარი, გაყვითლებული სახე, ჩვენი ჩაცვიფრული თვალები, უსიცოცხლო სიარული, შემინებელი კურდღელისავით ცქერა, — ყველა ეს ჩვენს მაქცერალს საჩქაროზედ ეჩხირებოდა თვალებში.

სხეულზედ უფრო მომეტებულად, ამ დამწყვედეისა გამო, გვიფუჭდებოდა ზნეობა და ხასიათი! ცხოვრებაზე მოშორებულთ — მომეტებულ ჩვენ-

ძალაქის ახლო-მახლო ზოგიერთ სოფლებიდან გვეწერენ, რომ ჩვენი მამასახლისები კარ-და-კარ დაიარებიანო და ყველა გლეხების რქიან საქონელს სწერენო.

სოფლებები ამ გარემოებისაგან შეშინებული არიანო, რადგან ხმა დაადგნო, რომ საქონელს იმიტომ სწერენო, რომ ხარჯი უნდა დაადგნო.

რადა თქმა უნდა, რომ ამ ხმას არავითარი საფუძველი არ უნდა ჰქონდეს, და თუ ეს ამბავი მართალია, ამ აღწერას მხოლოდ სტატისტიკური მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

* *

მრთს რუსულს გაზეთში იწერებინ, რომ ათონის პანტელეიმონის ბერძნის მონასტერს შმალღესად ებოძა სახელმწიფო ადგილი აფხაზეთში, სოხუმის მახლობლად, იქ, საცა ადრე სევასტიის საეპისკოპოსო ყოფილა. ამ ალაგას, როგორც ამბობენ, მომავალ შემოდგომაზე მონასტერი უნდა აშენდესო.

* *

სომხურს გაზეთს „ღვრწში“ (მკოლა) მოყვანილია ყველა სომხური შკოლების ანგარიში ქავეკასიაში და ბესარაბიის მაზრაში; ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ სულ ამ ორ ქვეყანაში 212 საეჯო სასწავლებელია, 37 საქალებო და 5 ისეთი, რომელშიაც ქალებიცა და ვაჭებიც ერთად სწავლობენ. ამ შკოლებში სწავლობენ: საეჯო შკოლებში—8,747, საქალებოში—1,611 და შერეულ შკოლებში—115, სულ—10,473 მოსწავლე.

* *

ძიზიყადამ გვეწერენ, რომ ჯერჯერობით იქ ვერ შესრულებულა ის ჰაზრი, რომელიც ქახის შკოლის მასწავლებელს, უფ. როსტომაშვილს, ჰქონდა და რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ამ სოფელში სასოფლო მალაზია გაემართა. ქახის მცხოვრებელთ გადაუწყვეტიათ, რომ ჯერ

ოცი—ოც-და-ათი თუმნის საქონელი (ფარჩეულობა) ნუხში ვიყიდოთო, იმიტ ვივაჭროთო და თუ სარგებლობა რამ გამოვიდა, მერე კი საკუთარი დუქანი გავხსნათ და უფრო მომეტებული საქონელიც მოვიტანოთ პირ-და-პირ თფილისიდანო.

* *

შეირილიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურ სამოპრიგო სასამართლოში ამ უკანასკნელ დროს ერთობ ხშირი და ბევრი უწყსოება ჩნდებაო, და მცხოვრებლები ამის გამო შევიწროებულნი არიანო....

მრთდღიური აღწერა თფილისისა

II

როგორ უნდა აღწერონ კვარტირები

პასუხი ყველა კითხვაზე უნდა იყოს ზეჯითი და მოკლე. პირების აღწერა ასე უნდა მოხდეს:

პირველს მუხლში უნდა დანიშნოთ № პირის სახელის წინ.

მეორე მუხლში—ჯერ ოჯახის ყველა წევრი უნდა ჩამოითვალოს და აგრეთვე ამ ოჯახში მდგმურები; აგრეთვე მოსამსახურეებიც.

მესამეში—ხნოვანება ყველა კვარტირაში მყოფი პირებისა;—რამდენი წლისაა ცოფრით უნდა იყოს აღნიშნული. შმაწვილების ხნოვანება, რომელნიც ერთ წელზე ნაკლებისანი არიან, თევობით უნდა დანიშნოთ.

მეოთხეში—დანიშნება: ცოლიანი, ქმრიანი, ქვრივი, უცოლო, უქმრო, გაყრილია ცოლთან კაცი თუ ქმართან ქალი?

მეხუთეში—სარწმუნოება შემდეგის წესით უნდა დანიშნოს: 1) მმართმადიდებელი, 2) სექტანტები, 3) სომხები—ზრიგორიანისანი, 4) ლოტრანგები, 5) რომის კათოლიკეები, 6) კათოლიკე—სომხები, 7) ეპრაელები და 8) მამადიანნი (სუნიტისა და შიიტისა). როცა ცოლქმარი სხვა და სხვა სარწმუნოებისანი არიან, განსაკუთრებული ყურად-

ღება შეიღების სარწმუნოებას უნდა ექნეს მიქცეული.

მეექვსეში—წოდება შემდეგის წესით უნდა დანიშნოს: 1) შთამომავლობითი აზნაური (თავადნი, გრაფნი, ბეგები), 2) პირადი აზნაური და კლასის ჩინოენიკები (რომელნიც აზნაურები არ არიან) და იმათი ოჯახი, 3) ბერები, 4) მღვდლები და იმათი ოჯახი, 5) შთამომავლობითი საპატიო მოქალაქენი, 6) პირადი საპატიო მოქალაქენი და იმათი ოჯახი, 7) ვაჭრები (ძალაქში დროებით მოსულნი), 8) თფილისის მოქალაქენი, 9) ამქარი, 10) გლეხნი (დანიშნული უნდა იყოს—რომელი ლუბერნიდამ არიან), 11) სალდათები და იმათი ოჯახი—აღნიშნეთ: სამსახურში ითვლებიან, თუ არა, ან თუ დროებით დათხოვნილი არიან; სამსახურიდამ, 12) უცხო-ქვეყნელი—რომელი ქვეყნიდამ არიან ვინც სახელმწიფო სამსახურში არიან ამ უცხო ქვეყნელთაგანნი, ჩინი არ უნდა დანიშნონ, არამედ მარტო თავის წოდება, ე. ი. აზნაური თუ რა წოდებისაა.

მეშვიდე მუხლში უნდა იყოს მოხსენებული: თავის შრომით ცხოვრებს ეს პირი, თუ ფულით.

ის პირნი, რომელნიც არც სახელმწიფო სამსახურში არიან და არც ვაჭრობენ, არამედ თავის მამულის შემოსავლითა ანუ ფულის სარგებლით ცხოვრობენ, პირ-და-პირ უნდა ასე ჩინიშნონ: „მემამულე“, „სახლის პატრონი“ და „კაპიტალისტი“

პირნი, რომელთაც თფილისში აქვს სახლი, უნდა ასე ჩინიშნოს „სახლის პატრონი თფილისში“. პირნი, რომელნიც მარტო პენსიით ცხოვრებენ, ასე უნდა იქმნენ ჩინიშნულნი: „ეცხოვრებ პენსიით“, „ეცხოვრებ საზოგადო ან კერძო შემწეობით.“ ცოლები, რომელნიც თავიანთ ქმრებთან ცხოვრებენ და რომელთაც სხვა არაფერი საქმე არა აქვთ, ასე მოაწერენ: „ეცხოვრებ ქმართან;“ აგრეთვე შეიღები, რომელნიც არ სწავლობენ: „მშობლებთან ცხოვრებ-

ნო.“ ცოლები, რომელთაც რამე მუშაობა აქვთ, მსწრე მუშაობა: „კლასის დამა“, „მწიფე მსწრე მუშაობა“, „ტელეგრაფში მოსამსახურე“, „ბები“, „დღიური მუშა“, „მრეცხელი“ და სხვა ამგვართვე. თუ ყმა-წვილები სასწავლებელში, ქარხანაში, ან სახელოსნოში დაიარებიან, მაშინ ისიც უნდა ჩინიშნოს—თუ რომელ სასწავლებელში ან ქარხანაში ან სახელოსნოში დაიარებიან.

(შემდეგი იქნება)

ღვრწმის კორმსკონდენსია

შორაპნიდამ, იანვრის 25-ს

ჩვენში ქურდობამ როგორღაც იკლო; მაგრამ არ იფიქროთ კი, რომ თოვლის გარდა, სხვა ვინმეს ან რა-სმეს უნდა უმადლოდეთ ამისთვის. ნამეტანმა თოვლის მოსვლამ ქურდებიც კი დააღონა.

მართალია, ამ ცუდმა ზამთარმა მეტის-მეტად შეაწუხა ხალხი. ჩვენი ხალხი დიდს და ცივ ზამთარს არ არის შეჩვეული და ამ ცუდი ზამთრისაგან ბევრი იხოცება სოფლებში. მთელი ჩვენი უეზდიდამ საშინელის თოვლის ამბივი მოდის.

სხვა არა იყოს რა, კაცმა სიმინდი და პური ვეღარ დაფქვა, რადგან წისკვილები დაყინულია ყველგან. ამ უკანასკნელ დღეებში კი ცოტათი ჰაერი გათბა და წისკვილებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მეორე უბედურება გაჩნდა.

როგორც ამბობენ, ერთ ერთგულ მოსამსახურე პრისტავს საჩხერისკენ წისკვილები სულ დაუკეტნია, რადგან ახალი მმართველობის განკარგულებით ბილეთები უნდა გქონდესო. ბაუგონიათ, წისკვილზე ბაჟია დადებულია, და ყველა წისკვილებს ახდევინებენ სოფლებში. პრისტავი, მგონია, მეორე საპრისტავოში გადუყვანიათ; მაგრამ ვაი თუ იქაც ასე მოახდინოს!

რომ შეხედო, საწყალი ვაჭრები მიდიან და მოდიან მუთათის და შო-

მელსაც რაღაც წიგნ ნახევარი წავეთხა და ამისთვის თავის ბრწყინვალეობა ქვეყნის მანათობლად მიიჩნდა. შეხედვობდით პაწაწკინა იგზუიტსაც, რომელიც ხმა-მალლა აღვიარებდა თავის ლოიოლას შევირდობას. ღი-ნახავდით განდევილსაც, რომელიც ყველაზედ ხელს იქნევდა და უკმაყოფილოდ იძახდა: „შოველი ამო არს!“ შესწაწკინა ვაჭრით გასერილ მჩვარსაც, რომელიც ღიმილით გთხოვდათ, რომ გაგეწმინდათ მასზედ ფეხი... ნახავდით კინტუასაც, რომელიც ნახევარ თუნგს და მუშტს „მრავალ-ჟამიერ“ უმღეროდა.. ნახავდით კიდევ ვინ იცის რამდენ რამეს... ბევრი, ბევრი ამგვარი პირი სუნთქავდა ჩვენში...

ამ გვარ სხვა და სხვა ხასიათის და კალაპატის ხალხი, რასაკვირველია, მშვიდად და თანხმობით ვერ მოთავსდებოდა ერთათ, ამისგანო ჩხუბი, ლანძღვა, მუშტი, ბეზღება თი-

თქმის განუწყვეტელი იყო ჩვენს ცხოვრებაში. ღაუმატეთ ახლა ამას სხვა გარეგანი პირობები და მაშინ ცხადი იქმნება შედეგი იმ გარემოებათა, რომელნიც ჩვენ გარს გვეხვია. აქედამ დაინახეთ—თუ რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ჩვენთვის აქედამ თავის გამოყოფა და ცოცხალ ხალხში გარევა და სიხარული!!... ამას ველირსებოდით ხოლმე დღესასწაულებში.

მიქტორ ჰიუგო ამბობს:—„საშინელი გასაგონია ჯარის ტარილიო!“ მამ ჯარის სიცილი სასიამოვნო გასაგონი იქნება! იქნება ეს ასეღაც არ იყვებს... მე არც მომტარალი მი-ნახავს ჯარი და არც მომკინარე... მს კი კარგათ ვიცი, რომ სასიამოვნო საცქერელია მხიარული ხალხი, და სწორეთ ამგვარ ხალხს შეხედვით თქვენ დღესასწაულობით ჩვენი თფილისის ქუჩებში.

შობას, ახალწელიწადს, წყალ-

კურთხევას, აღდგომას—სწორე მოგახსენოთ—სასიამოვნო სანახავია თფილისი. მართალია, თუ თვალსა და გულს გონებას მიაშველე, მაშინ ეს სიამოვნება სრულეზ სხვათ გარდაიქცევა; მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რომ ამგვარ დღეებში კაცი უფრო თვალითა და გულითა სცხოვრობს! თვალსა და გულს კი დროზედ მხიარული კაცის ნახვა ყოველთვის იამება!

ღიახ! ქარგია თფილისში დღესასწაულების გატარება. მე ამას ვერ ვგაძნობდი, სინამ თფილისში ვყავი; მხოლოდ ეხლა, როდესაც ვწვნივ პიევის წვენიც,—წარმომიდგა ეს.

ჩუმათ და წყნარად გავატარეთ ეს სამი დღესასწაული... სად იყო თფილისური აყვავებული დუქნები!.. თფილისური შილოცე-მოლოცვა! ჩვენი მხიარული ზურნა!!..

შველა ამის ნაცვლად, აქ იყო მხოლოდ ერთი ლოცვა, ლოცვა და დიდრონი ზარების გაბმული და

დაუწყნარებელი რეკა... პიევის დიდრონი და მრავალი ტაძრები, მომეტებულიდ ამ დღესასწაულებში, სულ კარამდისინ იყვენენ ხოლმე გატენილი გულმხურვალე მლოცველებით. მარეთ იდგა საშინელი ყინვა. ხალხისაგან დაცარიელებულ ქუჩებში მხოლოდ მთხოვრებს-ლადაინახავდით.

შველა ამის მნახველს მაგონდებოდა თფილისი... ტკბილი ფიქრები მესვეოდნენ გარს.. ჩრდილოეთის ცივი ქარი დამძახდა ბანს და მე ვმღეროდი:

„საამოვნო ფიქრები, შორს ქვეყნად დამთარევენ; სად არს ჩემი და-ძმები იმ ადგილს მიჩვენებენ...“ *

თქვენებური

პიევი, 17 იანვარს

*) ავტორთან უკაცრავად, რომ ორიოდ სიტყვა შევცვალე ამ ხანაში.

რაპანს შუა. შეზღვის სასამართლოში ეუბნებინა: ეს ბილეთი უნდა აიღო შენ, ესა და ეს მოწმობაო. ხაზინაში კი ეუბნებინა: ეს შენთვის საჭირო არ არისო, — და რომელი ეუბნება მართალს, კაცმა არ იცის. ძლიერ გასაკვირველია — რატომ არ ატყობინებენ კარგად — თუ ხალხს არა, მოსამსახურე პირებს მაინც!...

ჩვენში, ქოროტი ენის წყალობით, ხმა დაყარეს, რომ ქართული ორ-აბაზიანის აღარ გავა ამის შემდეგო. რკინის გზის სტანციებში ბილეთის ყიდვა რომ გინდოდეს, კაცი ხელს არ ჰკიდებს; ეუბნებინა: ეზ ფული აღარ გადის ეხლაო და უკეთური პირები ორ აბაზიან ორ შაუ-რათ ჰყიდულობენ სოფლებში. ნეტაე რა საფუძვლით არ იღებს რკინის გზის მოსამსახურეები ამ ჩვენ ორ აბაზიანს? სხვა ფულები კი ბევრი გინახავს ყალბი, მაგრამ ქართული ორ-აბაზიანი კი ძნელად.

მორიღე სიტყვა ხალხის განათლებას: შკოლები ბევრი გააკეთეს. მაგრამ, ამ ცუდი ზამთრის მიუხედავად, შაგირდებს შკოლებში სიარული არ შეუძლიათ; ან-კი როგორ ივლიან, რადგან იმისთანა პირებისაგან იყო გამორჩეული ადგილი შკოლის ასა-შენებლად, რომელთაც შკოლის საქმის დიდი არა გაეგებოდნენ. შაგირდები თუმცა არა ჰყავთ მასწავლებლებს, მაგრამ ჯამაგირს მაინც უკლებლად იღებენ...

ამ უფლის შკოლების ანგარიში-დამ სჩანს, როგორც ამბობენ, რომ ხალხის განათლება კარგად მიდისო. მაგრამ როგორც სახალხო ინსპექტორის გამოგზავნილი მოწმობების ბეჭდებისაგან სჩანს, შორაპნის უფლებში შავათ და მწვანეთ მიდის სწავლის საქმე! ბილეთები, ორის მეთს, სულ-შავი და მწვანე მოუფიდათ მასწავლებლებს!

აქ სხვა საინტერესო ამბავებიც ბევრია; მაგრამ არ ვიცით რამდენათ მართალია არიან:

მაგალითებია: არ ვიცი მართალია თუ არა, რომ ამ უფლებში ერთი პატივ-ცემული მოსამსახურე პირი ცდილობს იმ აზნაურების ხარჯში ჩაწერას, რომელთაც პროტოკოლი არ ჰქვამს გამოტანილი დეპუტატის სობრანიდამოქ...
მართალია თუ არა, რომ ამავ პირის წყალობით ხარჯიდან გამორიცხული პირები სახაზინო უწყებებში, ხელახლა ჩაიწერა კამელარიაში?

მართალია თუ არა, რომ შვირილაში ძლიერ ცუდი ხორცი გირიან-ქა ექვს და რვა კაპეკათ არისო?
თუ ეს ამბავები და ხმები არიან გა-ამტყუნა და მართალი გამოდგა, მაშინ ვეცდები სხვა საინტერესო ამბავებიც გაცნობოთ.

საზოგადოება ძლიერ შეწუხებულ-ლია: არ იცის რომელი შემთხვევა უფრო სასიამოვნო იქნება: ახალის მოხელა, თუ რომელიც დღემდინ გეყავდა, იმისი გადაყენა? ამისათვის საზოგადოება ჯერ-ჯერობით ამ შემთხვევის შესახებ არაფერს არ აცხადებს აშკარათ...

ა.

შესვლა ქვეყნები

ოსმალეთი და გერმანიის

როგორც ამბები მოდის, ანდრასის პროექტზე დიდ უარს არ ამბობს პროტა. იმ ექვს ხელმოწერის წარმომადგენელი, რომელნიც ამ პროექტის მიღებას ურჩევენ ხვანთქარს, მან კიდევაც განუცხადა, რომ თავ აზრ-ზედ ის დათანხმდა. არც სხვა მუხ-ლებზედ არის წინააღმდეგი, მხოლოდ ერთ პირობას თხოულობს: თუ-კი ყველა აჯანყებულები დაყრიან თოფ-იარაღს და შესწყვეტენ ომიანობას, მაშინათვე ჰპირდება ხვანთქარი, რომ ის მთლათ მიიღებს ამ პროექტს.

ამ მოკლე ხანში ხვანთქარს გაუ-გზავნია ეს პროექტი გერმანიის-ში, იქ უნდათ, რომ ყველანი გაეც-ნონ ამ პროექტს ჰგავს იმ აზრით, რომ გაცნობის შემდეგ უფრო კარ-გათ შეიძლონ პროექტის დაფასება და მაშასადამე უფრო ადვილად და-თანხმდენ იმის მიღებაზედ და ომიან-ობის შეწყვეტაზედ.

ხვანთქარი თავის მხრით ყოველ-ღონისძიებას ხმარობს დამშვიდების-ათვის; ამ ნაირი ამბავი მოდის, მაგა-ლითად, რომ ხვანთქარს ეთხოვოს ჩერნოგორიის მთავრისათვის ვოლო-ნტურების მოკრების აკრძალვა და ისინიც უკან დაებრუნებინა, რომელ-ნიც ეხლა ანჯანყებულების რაზმში არიან; ამის სამაგიეროთ ხვანთქარი შეჰპირდება სამი ადგილის: ზუბციის, სუტარინის და სპიციის და-თმობას. მთავარი, როგორც ხმა არის, კიდევ დათანხმებულა ამ წინადად-ებაზედ; მაგრამ გერმანიის ელჩები-კი მეთად სწყენიათ ეს ამბავი. თუ ეს ყველაფერი მართალია, უნდა ველო-დეთ, რომ მალე გათავდება არეუ-ლობა ოსმალეთში.

მეორეს მხრით აი რა ამბავი გა-ვაგეთ კიდევ: ინგლისურმა გაზეთებმა დაბეჭდეს ლორდ როსელის წე-რილი, სადაც ის ურჩევს აჯანყებუ-ლებს, რომ არას გზით არ დაეთან-ხმონ ხვანთქარის სიტყვას და სადამ-დის შეუძლიანთ, იომონ. საქმე გვა-ჩვენებს, ამბობს როსელი, რომ ყო-ველი დიდი სახელმწიფოების მეცა-დინება უბრალოდ მიდის და ხვან-თქარზედ არაფის სიტყვას არავითარი გავლენა არა აქვსო. ეს სიტყვები დიდი ყურადღების ღირსია როსელის მხრით და ეხლანდელის მერობის პო-ლიტიკური მდგომარეობიდან ბევრი რისამეს ახსნა შეუძლია.

შენის გაზეთებიც ძრიელ გულ მო-სულად ლაპარაკობენ ოსმალეთის ამბებზედ; მათის სიტყვით, თუ ხვან-თქარი ნებით არ დათანხმდა ამ პრო-

ექტზედ, აესტრია იძულებული იქმ-ნება ძალით იმოქმედოს.

ამას დაუმატოთ ისიც, რომ ამ დღეებში შანდიის კუნძულზედ არე-ულობა დაიწყო და კიდევაც მოხდა ორჯერ-სამჯერ შეტაკება აჯანყ-ებულებსა და მმართველობის ჯარებს შუა.

შეველია, რომ კარგათ საქმე მი-დიოდეს და შენის კაბინეტის პროექ-ტზედ ხვანთქარი თავის თანხმობას აცხადებდეს, ეს მენაში უფრო კარ-გად ეცოდინებათ და იქაური გაზე-თები უფრო სხვა ენით ილაპარა-კებდნენ ეხლანდელს პოლიტიკურ მდგომარეობაზედ.

არც ეხლანდელი შანდიის ხელ-ახლავ არეულობა გვიმტკიცებს იმას, რომ ხვანთქარი შეტად ცდილობდეს თავის ქვეშევრდომების კეთილ-დღე-ობაზედ.

— ალი-ფაშა, ეხლანდელი გერ-მანიის ლებერნატარი, გადვი-და სადგმურად მოსტარიდგან ტრე-ბინიეში.

მსპანი. ძარლისტების დამორ-ჩილებას აღარა გაეწყო რა; ყოველს თვისა-და-თვის თავზედ იცვლებიან ღენერლები და მთავარ-მართველები, და საქმით უკეთ წაყენას-კი აღარა ეშველარა. ამბები, მართალია, ხან-დისხან სანუგეშო მოდის ხალხმე, მაგრამ საქმე არაფერი სანუგეშო გამოდის.

მხლაც ეტყობილობთ, რომ მმა-რთებლობამ განსაკუთრებითი გულ-მოდგინებით დაიწყო ძარლისტების დენა; მისმა უკეთესმა ღენერალმა — მარტინე ძამპოსმა — წართვა მტერს ერთი ძრიელ მაგარი ადგილი და სტრატეგიულის მხრით ფრიად შესანიშნავი პაპვლუნასა და სერ-მანტოსას შუა; ამ ადგილში, რასა-კვირველია, თითონვე გამაგრებულა.

მეორეს მხრით ეტყობილობთ, რომ 16-ს იანვარს, ერთ უკეთესთა-განს ღონ-ძარლოსის ღენერალს, ტრისტანის, მორჩილება გამოუცხა-დებია ღონ-ალფონსისათვის და და-უტოვებია თავის ძველი ბანაკი.

გიბლიოგრაფია

დიდი ხანი არ არის იმის აქეთ, რაც მეცნიერებამ ძალიან ყურად-ღება მიაქცია მთის ხალხების ენების შესწავლას და მათს გაცნობას. უპი-რატესი ადგილი ამ საქმეში უკავიათ ორ ღენერალს ბარტოლომეის და უსლარს.

ამ ორმა სწავლეულმა თითქმის ყველა მთის ხალხების ენა გამოიძიეს და დასწერეს მათზე ანბანი და შე-ადგინეს ზოგიერთისათვის ღრამბატი-კაცა.

საფუძვლიან შესწავლის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ დაწყება განათლებისა ამ ხალხების ცხოვ-რებაში შეუძლებელი საქმეა, თუ არა მათს სამშობლო ენაზედ.

თუმცა ამ აზრის წინააღმდეგებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ბოლოს მმარ-

თებლობამ მიიღო თავის თავზე სა-ხალხო შკოლების გახსნა 1861 წელში და ამ შკოლებში ასწავლიან წერა-კითხვას და თვლას სამშობლო ენაზე.

უ. უსლარის შრომას ფუქათ არ ჩაუვლია ხალხის განათლებისათვის; როგორც სჩანს შემდეგი წიგნების სახელებიდან, რომელნიც 1868 წელს არსებობდნენ მთის ხალხების ენებზე.

- 1) შაბარდულს ენაზე:
- ა) „წესი მაჰმადიანთ სჯუ-ლისა“, გადმოთარგმნილი არაბული ენიდან შარდანოვისაგან. 1864 წ.
- ბ) მრი ხანა სახალხო პომიდგან „სოსირევა“. „ხოსნა“ (ნა-თარგმნი (La Perse de Dubeuf) და „ამიკ ყარიბ“ (გადმოთარგმნი-ლი ლერმონტოვის ზღაპრიდან). ათა-უუკინისაგან შედგენილი ბრაშიუ-რა, 1864 წ.

გ) რამოდენიმე მოთხრობა „ბიუ-ლისტინიდან“ ს ა ა დ ის თ ხ უ ზ უ ლ ე-ბ ი დ ა მ .

დ) ანბანი ამავე ენაზე — შედ-გენილი ათაუუკინისაგან.

- 1) „წყალი, ჰაერი და მათი ცელი ენა“, გადმოთარგმნილი რუსული ენიდან ათაუუკინისაგან. დაბეჭდა 1867.
- 2) ჩეჩენების ენაზე:

ა) ანბანი — შედგენილი ღენ. უსლარისაგან. 1863.

ბ) არითმეტიკა, შედგენილი ღენ. ბარტოლომეის ხელმძღვანელობით.

3) ავარულს ენაზე:

ა) ამ ენაზე არის დაბეჭდილი ან-ბანი — შედგენილი უსლარისაგან.

ბ) ზღაპრები — პირველი ნაწი-ლი: წყლის ცხენი, დათვის ყური, ქრტ. და ჩილიბიკი. სიმღერა. დაბე-ჭდილია 1867 წ.

4) შაზიყუმის ენაზე:

ა) ანბანი — შედგენილი უსლარი-საგან, 1865 წ.

ნარკვი

შეკვდილად სვანეთიდან მიღებულს ამ სვა-ნურ ლექსს, რომელიც, როგორც ჩვენი კორ-რესპონდენტი გვწერს, ძალიან გავრცელებუ-ლია თურმე იქ ხალხში. ამ ლექსს იქ „მუ-რას“ ლექსს ეძახიან. აი ეს ლექსი:

ჩემო ყურშავო, ყურშავო, შეიგო,
 შურშავო ტოტობი, ტოტობი შეიგო;
 ძალოს ოდენი, ოდენი, შეიგო.
 შურშავს თვლები, თვლები, შეიგო,
 მთარეს ოდენი, ოდენი შეიგო.
 შურშავს ნახტომი, ნახტომი შეიგო.
 მინდორ ოდენი, ოდენი, შეიგო.
 შურშავს საჭმელი, საჭმელი, შეიგო,
 შურის ლავაში, ლავაში, შეიგო.
 შურშავს ლოგინი, ლოგინი, შეიგო,
 მამუხა ნაქსოვი, ნაქსოვი, შეიგო.
 შურშავს სასმელი, სასმელი შეიგო,
 ღვინის ბადაქო, ბადაქი შეიგო.
 შურშავს სამწვევი, სამწვევი, შეიგო.
 ჩემო ყურშავო, ყურშავო, შეიგო,
 ლომის სალევკი, სალევკი, შეიგო!
 სავაროს რომ გავაგზავნე, შეიგო,
 ძარბი ვაჭარი, ვაჭარი, შეიგო.
 ძარბათ ივაჭრებს, ივაჭრებს, შეიგო.
 სანადირის გავაგზავნე, შეიგო,
 არჩეს მომიტანს, მომიტანს, შეიგო,
 ხოხობს მომიტანს, მომიტანს, შეიგო!

მ. ზურგთი, 28 იანვარს

ჩვენი მომრიგებელი მსაჯული გა-დაიყვანეს შოთში და ეხლა სხვას მოგველით.

შურმა, ამირან სად არის, შეივო?
 თათარს ხომ არ ენახებოდა, შეივო?
 უმისოთ არ ვგარკვიართ, შეივო!
 თათარი ჩვენს ბევრს დაგვაცლებს, შეივო,
 თუ არ იქნა ამირან აქ, შეივო.
 შურმა, ამირანს, რომ უჭირსო შეივო,
 შენ არ იცი, არ იცი, შეივო?
 წადი, წამალი წაუღე, შეივო
 წადი, ტყვიაც წაუღე, შეივო;
 ანბავიც მალე მოგვიტანე, შეივო!
 შურმა, დედა შენს სად სტოვებ, შეივო?
 შურმა ტყვეთ განა ტყვეთაო, შეივო,
 მიჰყავებარ შენ დღეს მტერსაო, შეივო!
 მაიმე რა ვქნა მე დედაო, შეივო!
 მინ არის შენი დამჭერი, შეივო,
 მინ შეგიკრა შენ ხელ-ფეხი, შეივო?
 შურმა, შენი კბილები, კბილები, შეივო,
 მეღარ უტყენს განა მტერსა, შეივო?
 ჩემო ყურშაო, ყურშაო, შეივო!
 დედა შენი აქ მოკვდება შეივო;
 მტერიც მითი დამარცხდება შეივო!
 მშვიდობით, ჩემო ყურშაო, შეივო!
 ჩემო ყურშაო, ყურშაო, შეივო,
 ნუ დაივიწყებ ამირანს შეივო,

ნუ დაივიწყებ შენს დედას შეივო,
 ნუ დაივიწყებ შენს ქვეყანას შეივო!
 მაიმე, ჩემო ყურშაო, შეივო.
 ჩემო, ყურშაო, ყურშაო, შეივო!...


განცხადება

ისუილება
 ძალანდაძის და მართანოვის წიგ-
 ნის მალაზიაში ტუკის ხილზე. უმი-
 კაშვილის გამოცემანი:

გრიგოლ ორბელიანის ლექსები

შასი ათი შაური
**სიბრძნე სისრუ-
 ის წიგნი**

თქმული
 საბა ორბელიანისაგან
 შასი ათი შაური



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის
 მშვენიერის თმის ქონებით ვალდებუ-
 ლია მხოლოდ სამზღვარ გარეთ ექ-
 რობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ
 მცენარეობითს მინო-გლიტერინის
 კომპლქსს, რომელსაც თმა ამოჰყავს.
 ეს კომპლქსი უცდია ბევრს
 გამოჩენილ ექიმობის მცო-
 ლნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს



ქიმიის პროფესორისა ლანდგერხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. პლე-
 ჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი
 და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის
 საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომთმებულათ მოსიღებელი თავიეც კი მალე
 თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმავრებს, სრულებით კანის
 ყოველ გვარ ქერქეშს ამორებს, თვას ამავრებს, მცირე ხანში ბუნების
 სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმი-
 სი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის
 დამამშვენებელია.

შველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მადლვეს სრულს სიმართლეს
 იმედი ექონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივემუ-
 ლესის პუბლიკის სასარგებლოდ.

შასი ბანკისა 2 მანეთი

შოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

რუსეთსა და ამერიკას შუა ალბ-მიცემობითი

პატრონა



მ. ს. ბეთანელი

დ. ა. ნებლი

ქომისიონური აგენტობა
 ბეთანელი და აბს.

ჩილადელფიაში (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში)

დაარსებულია 1874 წელს.

ამერიკაში მიაქვს:

რწყილის წამალი, მატყლი, გაუკეთებელი აბრეშუმი, კაკლის კუნძი,
 ბზის ხე, სპარსული ხალიჩები და სხვა ძავეკასიისა და რუსეთის ნაწარმოები.

ამერიკიდან გაამოაქვს:

სამეურნეო იარაღები, რკინისა და ფოლადის ხელობა და ყოველ გეა-
 რი მაშინები.

მთავარი აგენტები რუსეთისათვის ჰენრიხ დისტონისა და შვილების
 სახერხავეი მაშინებისა (Henry Disston et Sons' Keystoue Saw, Iool, Steel
 et Fil Works, Philadelphia) და ოცი სხვა ამერიკის საუკეთესო ფაბრიკე-
 ბისა და ქარხნებისა.

ფირმის ადრესი ჩილადელფიაში: Betanelly et C., 430 Walnut Stre-
 et, Philadelphia, Pa. United States of America.

მ. ს. ბეთანელი, ჩილადელფიიდან, ამ ქმად მოკლე დროსთი
 თფილისში იმყოფება და საქმისათვის მიიღებს მსურველთ ორ-
 შაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით, დილის 10 სა-
 თიდან შუღღემდი და ნაშუადღევის 3-დამ 6-მდი, „ლონდონის“
 სასტუმროში.

6-5

კ. მ. ა. დ. ა.

„PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამ-
 გონს აქვს პატივი
 განუცხადოს საზო-
 გადობას, Pasta Ev-
 genie ისეიღება თში
 ლისში ლანკოს მუ-
 ზიკალურ მალაზიაში
 სასახლის ქუჩაზე, არ
 წრუნის ქარვასლაში,
 ვლადიკავკაზში —
 სეგალთან და სტამ-
 ბოპოლში ტურილ-



ჩენკოსთან, სადაც ის-
 ყიდება სხვა აქ მო-
 ყვანილი ნივთებიცა.
 ეს პომადა „Pasta“
 მითია შესანიშნავი,
 რომ ცოტახნის ხმა-
 ების შემდეგ, ლა-
 კები, კოიფლი, ქერ-
 ქეში და სიცხისაგან
 სასევე მოდებული
 სიშვე სრულიად ი-
 კარება და მსწრაფ-


ლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძ-
 ლევა. შველაზე უფრო ეს პამადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთ-
 და თეთრი პისისაზე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტია
 არის შენის ქიმიის პროფესორი ძლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავა
 რობის მოწმობა.

შასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.
 შოველ პამადის ბანკას, რო-
 გორც თმისთვის აგრეთვე „Pas-
 ta“-ს აქვს თავის დალი, ამური
 სურათით და გამამგონის ხელის



საც ხორცის კანის ავთ-
 მყოფობა არა აქვს, მაგ
 რამ ჰსურს, რომ წმინდ-
 ხელი



ხორცის კანი ჰქონდეს
 ახნეზე, ხელოვნურ და ყე-
 ლზე. BERTHA E RIES.
 კ ა მ ა დ ა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმას იმასობის შემდეგ, ხელის კანი
 განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოდ ღრმა მოხუცებუ-
 ლებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის შასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას
 სძლებს. შასი სამი მანეთი.

ბოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. შასი 60 კაპ. 54-4

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოფტა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 36	4 54			ა) ფოთიდან:	ა) თფილისიდან:	პეტერბურგი, 24 იანვ.		თფილისი, 27 იანვ.	
მცხეთა			68	38	მდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	მართი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	90
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს—კვირობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ.	ლონდონში 32 პენსი.	84	ქერი ფუთი.	55
ხაშური	2	11 10	3 92	2 18	ბ) სოხუმიდან:	ოთხშ., მსურვეთს — პარასკ და	პარიჟში 334 სანტიმი.	89	ბამბა მრევისა, ფუთი.	5 40
ბეჟათუბანი			4 42	2 46	ფოთს—ოთხშაბათს, დილით.	ორშაბ. ბაქს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი(სარგებლობისთვის)	6	— ამერიკისა, ფუთი.	6 30
შვირილა			5 81	3 23	მდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	10 25	ბაჰენტილი ბამბა ფთ.	8
მუთაისი	8 23		6 75	3 75	ფოთიდან: I II III	ბ) მუთაისიდან:	მოგებიანი(პირველისესხი)	226	მატყლი თუშური ფთ.	7 50
სამტრედია			7 73	4 29	სოხუმიდან: 4 3 1	თფილისისა და ფოთისკენ—ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)	217 75	— თრაქაპისა ფთ.	7 50
ახ.სენაკი			8 57	4 76	ქერამდი. 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	ბირაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
ფოთი	11 44		9 75	5 42	ტავანოვ. 34 27 8 60	ვეთს—ორშ. და პარასკ. შუგდლდ	თფილ. საზნ. ბანკისა.	94	ქონი, ფუთი.	4
ფოთი	8 40				მდესსამდი. 38 30 9 60	—ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88	ქონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.სენაკი			1 18	66	ტელეგრაფი	გ) ბო რ ი დ ა მ.	მოსკოვის (5%).	86 75	სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია			2 61	14	მ. კაპ	შოველგან ყოველ დღე, კვირას	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	63
მუთაისი	11 51		3 41	69	მცი სიტყვა თფილისიდან:	გარდა.	მდესის საეჭვრო ბანკის	172	— ცხვრისა, ლიტრა.	72
შვირილა			3 98	21	მუთაისს, ფოთს	დ) ფო თ ი დ ა მ.	ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139 50	სპირტი, ვედრო.	6 60
ბეჟათუბანი		ლაგე	5 33	2 96	ბორს, დუშეთს, სიღნახს	შოველგან ყოველ დღე, კვი-	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	შაქარი, ბროც. ფუთი.	7 80
ხაშური	5 41	1 65	8 43	24	როსტოვს მდესას მოსკოვს	რას გარდა.	ქავეჯის და მერკურის.	168	— ფხვნილი ფუთი.	6 40
ბორი	7 23	3 67	3 64	9	პეტერბურგს, ვარშავას.	წიგნის გაგზავნა რუსეთში	პირე. საზღვევ. საზოგ.	665	ქავა გრგვალის ფუთი.	19 25
მცხეთა			9 85	4 1	მსმალეთში, შევიცარიაში	და სამზღვარ გარეთ:	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	ზეთი ქუხუჯუთისა ფთ.	6
თფილისი	10 16	7 24	9 75	5 42	მსმალეთში და საფრანგეთში.	ლა წიგნის	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მქრო 1/2 იმპერიალი.	6 15
					ინგლისში.	დაბეჭდილის (სამი მისხალი).				